



მონაცემთა გაცვლის
სააგენტო

WWW.MY.GOV.GE

ს ა ი ნ ფ ო რ მ ა ც ი ო ფ უ რ ც ე ლ ი

გამოშვება #53 მაისი, 2016

გამოშვებაში
წაიკითხავთ

ერთიანი სავაჭრო
ქსელი (TFS)
ოფიციალურად
ამოქმედდა

დამბობილების
(TWINNING)
პროექტი:
სემინარი
მედიასაშუალებე
ბების
წარმომადგენლებ
ისთვის

ტალინი: ელ-
მმართველობის
კონფერენცია
2016

იუსტიციის მინისტრმა ფოთის გაფორმების
ეკონომიკურ ზონაში ერთიანი სავაჭრო ქსელის (TFS)
ელექტრონული სისტემის პრეზენტაცია გაიმართა



18 მაისს ფოთის გაფორმების ეკონომიკურ ზონაში ერთიანი სავაჭრო ქსელის (TFS) ოფიციალურად გაშვების ცერემონიალი გაიმართა, რომელიც საქართველოს იუსტიციის მინისტრმა თეა წულუკიანმა გახსნა. „TFS“ ტრანსპორტისა და ლოგისტიკის სფეროში ჩართულ რგოლებს

(კომპანიებს) შორის ინფორმაციის ელექტრონულად, ავტომატურ რეჟიმში გაცვლის სისტემაა. მასში ჩართულ კომპანიებს შესაძლებლობა ექნებათ, დაზოგონ დრო, ფინანსები და მსოფლიოს ნებისმიერი წერტილიდან ონლაინრეჟიმში აწარმოონ ყველა ის ოპერაცია, რაც დაკავშირებულია საქართველოში ან/და საქართველოს გავლით ტვირთების გადაზიდვასთან. საჭირო დოკუმენტაციის ელექტრონულ რეჟიმში ავტომატურად გაცვლა მნიშვნელოვნად ამარტივებს პროცედურას, ტვირთების განბაჟების პროცესი კი უფრო სწრაფი და კომფორტული ხდება. ქსელი ყოველწლიურად 1 მილიონ ქალაქის დოკუმენტს ჩაანაცვლებს, ბიზნესმენებს კი წლის განმავლობაში 4.5 მილიონი დოლარის დაზოგვის საშუალებას მისცემს. ერთიანი სავაჭრო ქსელის ჩამოყალიბება ხელს შეუწყობს ქვეყანაში ახალი ინვესტიციების შემოდინებას და კიდევ უფრო აამაღლებს საქართველოს როგორც ბიზნესის წარმოებისთვის მიმზიდველი ქვეყნის რეპუტაციას, რაც, თავის მხრივ, წახალისებს ეკონომიკის განვითარებას.

დღემდე ერთიანი სავაჭრო ქსელი საპილოტე რეჟიმში მუშაობდა. ამ პერიოდში გამოვლინდა და აღმოიფხვრა საოპერაციო ხარვეზები. (გაგრძელება გვ. 2).



www.justice.gov.ge



www.house.gov.ge



www.my.gov.ge



www.sda.gov.ge



www.napr.gov.ge




www.archives.gov.ge



www.nbe.gov.ge



www.notary.ge



www.matsne.gov.ge



www.eauction.ge



www.tbilisi.gov.ge

(გაგრძელება. დასაწყისი გვ. 1) ამჟამად სისტემა აერთიანებს ფოთისა და ბათუმის პორტებს, რამდენიმე საზღვაო ხაზს, საბაჟო ტერმინალსა და სატრანსპორტო კომპანიას. სისტემის ოფიციალურად გაშვების შემდეგ პროგრამაში ჩართული ახალი სუბიექტების რაოდენობა მკვეთრად მოიმატებს, რადგან საზღვაო ხაზების, საბაჟო ტერმინალებისა და სატრანსპორტო კომპანიების წარმომადგენელთათვის უკვე ჩატარდა სპეციალური ტრენინგები ქსელის ფუნქციების გასაცნობად.

ერთიანი სავაჭრო ქსელი სახელმწიფო და კერძო სექტორის ურთიერთთანამშრომლობის წარმატებული მაგალითია. ქსელი იუსტიციის სამინისტროს სსიპ „მონაცემთა გაცვლის სააგენტოს“ მიერაა შექმნილი. პროექტი აშშ-ის საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID) მხარდაჭერით განხორციელდა. მასზე მუშაობა 2012 წლიდან დაიწყო. სამუშაო პროცესში ჩართული იყვნენ ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახური, ფოთისა და ბათუმის საზღვაო პორტები, გადამზიდავი კომპანიები, საბაჟო ტერმინალები, რკინიგზა, ექსპედიტორები და სხვ.

ღონისძიებას ესწრებოდნენ იუსტიციის მინისტრი თეა წულუკიანი, საქართველოს მთავრობის წევრები, აშშ-ის საერთაშორისო განვითარების სააგენტოს მისიის ხელმძღვანელები, ვაჭრობაში ჩართული სუბიექტების წარმომადგენლები.



ერთიანი სავაჭრო ქსელის პრეზენტაცია



ერთიანი სავაჭრო ქსელის პრეზენტაცია

დამმობილების (TWINNING) პროექტი: სემინარი ჟურნალისტებისთვის ელექტრონული მმართველობის თემაზე



9-11 ივნისს ესტონეთის ელექტრონული მმართველობის აკადემიის ორგანიზებით (e-Governance Academy) ყვარელში, სასტუმრო „როიალ ბატონში“ ქართული მედიასაშუალებების წარმომადგენლებისთვის გაიმართა სემინარი თემაზე - „ელექტრონული მმართველობის გაშუქება მასობრივი ინფორმაციის საშუალებებით - ევროკავშირის საუკეთესო გამოცდილების გაზიარება“.

სემინარის პირველ დღეს იმ სახელმწიფო უწყებების წარმომადგენლებმა, რომლებიც ჩართულნი არიან ელ.მმართველობის განვითარების პროცესში, ჟურნალისტებს მიაწოდეს ინფორმაცია მათ უწყებებში მიმდინარე პროექტების შესახებ. პრეზენტაციები გააკეთეს მონაცემთა გაცვლის სააგენტოს, სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს, საჯარო რეესტრის ეროვნული

სააგენტოს, იუსტიციის სახლის, ფინანსთა სამინისტროსა და კონკურენციისა და სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს წარმომადგენლებმა.

სემინარის მეორე დღეს მოწვეული აუდიტორია - ქართული მასობრივი საინფორმაციო საშუალებების წარმომადგენლები გაეცნენ საქართველოში ელ-მმართველობის განვითარების ეტაპებს, არსებულ მდგომარეობას, შეხვდნენ ესტონეთიდან მოწვეულ ექსპერტებს და მათგან მიიღეს ინფორმაცია ესტონეთსა და ევროკავშირის სხვა ქვეყნებში ელექტრონული მმართველობის საკითხების გაშუქების საუკეთესო გამოცდილების შესახებ (გაგრძელება გვ. 3).

(გაგრძელება. დასაწყისი გვ. 2) სემინარზე წარმოდგენილი იყო სხვადასხვა სახის თემატური ინფორმაცია. სემინარის მსვლელობისას გაიმართა სახვადასხვა სახის ჯგუფური განხილვა დამსწრე აუდიტორიის მონაწილეობით.

სემინარის საბოლოო მიზანია, ევროკავშირის საუკეთესო გამოცდილების გაზიარება და ქართული სინამდვილის გათვალისწინებით საქართველოში ელექტრონული მმართველობის საკითხებისადმი მასშტაბის წარმომადგენლებისთვის სრულყოფილი ინფორმაციის მიწოდება, რათა შემდგომ უკეთ მოხდეს ამ თემების საზოგადოებისთვის გასაგები ფორმით გაშუქება.

ტალინი: ელექტრონული მმართველობის კონფერენცია 2016



30-31 მაისს ესტონეთის დედაქალაქ ტალინში გაიმართა ელექტრონული მმართველობის ყოველწლიური საერთაშორისო კონფერენცია, რომლის ორგანიზატორიც ესტონეთის ელ-მმართველობის აკადემია იყო. კონფერენცია გახსნა ესტონეთის პრეზიდენტმა ტომას ჰენდრიკ ილვესმა.

კონფერენციის მონაწილეებმა ორი დღის განმავლობაში მიმოიხილეს ელექტრონული მმართველობის სფეროში

თანამშრომლობის შემდგომი განმტკიცების საშუალებები, ელექტრონული სერვისების ინოვაციური პროექტები და მათი როლი მთავრობის ეფექტიანობის ზრდის, კორუფციასთან ბრძოლისა და მოსახლეობის კეთილდღეობის უზრუნველყოფის თვალსაზრისით.

საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მონაცემთა გაცვლის სააგენტოდან კონფერენციის მუშაობაში მონაწილეობა მიიღეს იურიდიული და მონაცემთა გაცვლის ინფრასტრუქტურის სამმართველოების უფროსებმა - ნატა გოდერძიშვილმა და ნიკოლოზ გაგნიძემ. ნატა გოდერძიშვილმა კონფერენციის მონაწილეებისთვის საქართველოში ელექტრონული მმართველობის სფეროში განხორციელებული პროექტების, მიღწეული შედეგებისა და სამომავლო გეგმების შესახებ გააკეთა პრეზენტაცია. აუდიტორიის მხრიდან განსაკუთრებული ინტერესი გამოიწვია მოქალაქის პორტალის, იუსტიციის სახლისა და საზოგადოებრივი ცენტრების პროექტებმა.

კონფერენციაში 70-მდე ქვეყნის 250-ზე მეტმა წარმომადგენელმა მიიღო მონაწილეობა.

იხილეთ ჩვენი საიტები

www.dea.gov.ge; www.my.gov.ge

მონაცემთა გაცვლის
სააგენტო

წმ. ნიკოლოზის/ნ. ჩხეიძის ქ. 2
თბილისი 0102, საქართველო
ტელეფონი: (+ 995 32) 291 51 40
ელ.ფოსტა: info@dea.gov.ge

საქართველოს იუსტიციის სამინისტრო

მონაცემთა გაცვლის
სააგენტო



თუ ხართ ახალი მომხმარებელი ან კვლავ გასურთ საინფორმაციო ფურცლის გამოწერა, გთხოვთ გამოაგზავნოთ ელექტრონული შეტყობინება მისამართზე: info@dea.gov.ge და სათაურში მიუთითოთ “Subscribe” ან დაარეგისტრირდეთ თქვენი ელექტრონული ფოსტის მისამართი ვებ გვერდზე: www.e-government.ge

თუ არ გასურთ, მონაცემთა გაცვლის სააგენტოს საინფორმაციო ბიულეტენის მიღება, გთხოვთ